პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 149 (4659)

1972 წ. 1 აგვისტო, სამშაბათი. ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

## მატჩი მსოფლიო პირველობაზე

## პარტია გადაიდო

რეიკიავიკი, 30 ივლისი. დღეს სპასკი — ფიშერის მატჩის მეცხრე პარტია უნდა გამართულიყო, მაგრამ არ შედგა მსოფლიო ჩემპიონის ავადმყოფობის გამო. ეს პარტია 1 აგვისტოს გათამაშდება.

## შეტევაზეა საკანდელიძე



გუშინწინ თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა კალათბურთელთა საერთაშორისო ტურნირი — ი. გაგარინის III მემორიალი.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრებისა და აშშ-ს სტუდენტთა გუნდის შეხვედრის მომენტი. მეტოქის ფარს წარმატებით უტევს ზ. საკანდელიძე. ამერიკელ ზ. კელის (იგი ტურნირის ყველაზე ტანმორჩილი მონაწილე იყო) მხოლოდ ისღა დარჩენია, რომ თვალი გაადევნოს მეტოქის სწრაფ იერიშს.

მ. ზარგარიანის ფოტო.

(შეჯიბრების ანგარიში იხ. მე-2 გვ.)

## სარბიელი ქალებმა დაამშვენეს

ცაგერის რაიონის ქალთა XI სპარტაკიადა საბჭოთა კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. ასპარეზობის პროგრამაში იყო ჭადრაკი, მაგიდის ჩოგბურთი, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლა, ფრენბურთი და მძლეოსნობა. ყველა სახეობაში (ჭადრაკის გარდა) I ადგილი ცაგერის საშუალო სკოლის სპორტსმენებმა დაიკავეს. ჭადრაკში გამარჯვება ლასურიაშის სკოლის სპორტსმენებს ხვდათ.

II ადგილებზე გავიდნენ: ჭადრაკში — ცხუკუშერის, მაგიდის ჩოგბურთში — ტვიშის, მცირეკალიბრიანი შაშხანით სროლასა და ფრენბურთში — ლასურიაშის, მძლეოსნობაში — ბარდნალის საშუალო სკოლების გუნდები.

სპარტაკიადის საერთო ჩათვლაში I ადგილი და გარდამავალი თასი მოიპოვა ცაგერის საშუალო სკოლის ფიზკულტურულმა კოლექტივმა (სკოლის დირექტორი ს. კოპალიანი, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. კოპალიანი). II ადგილზეა ლასურიაშის საშუალო სკოლის (დირექტორი ტ. გოლეთიანი, ფიზაღზრდის მასწავლებელი ო. ყურაშვილი) გუნდი, III — ცაგერის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის (დირექტორი ს. ფულაძე, ფიზაღზრდის მასწავლებელი გ. გუგავა) ნაკრები.

ზ. ჩხაიძე,

ცაგერის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე.

## [illegible]-72

● მარსელი, 29 ივლისი. ადგილობრივ ტრეკზე დღეს დაიწყო ველოსიპედისტ ქალთა მსოფლიო ჩემპიონატი. წარმატებით აიღეს სტარტი მოსკოველმა გ. ერმოლაევამ, ლვოველმა ლ. ხარხაიმ და ტულელმა ო. პილშჩიკოვამ, რომლებმაც გაიმარჯვეს სპრინტერული რბოლების პირველ ეტაპზე და მეოთხედფინალში გავიდნენ.

● რიგა, 30 ივლისი. აფროსანთა საკავშირო პირველობაში ოლიმპიურმა ჩემპიონმა, კიეველმა ვ. მანკინმა „ტემპესტის" კლასში შვიდი რბოლიდან ექვსი მოიგო და ოქროს მედალიც მოიხვეჭა. „ფინის" კლასში ჩემპიონი გახდა რიგელი რ. ბერდაში. დანარჩენი კლასების იახტებით შეჯიბრებებში გაიმარჯვეს: მოსკოველმა ვ. ლეონტიევმა („მფრინავი ჰოლანდიელი"), ლენინგრადელმა ბ. ხაბაროვმა („ურჩხული"), მოსკოველებმა ბ. ბუდნიკოვმა („ვარსკვლავისებური") და ტ. პინეგინმა („სოლინგი"). ი. ჩაპანმა ყველას აჯობა „კატამარან „ვ"-ს კლასში.

● გრაცი, 30 ივლისი. სსრ კავშირის სტუდენტმა მოჭადრაკეებმა ყველას აჯობეს ავსტრიის ამ ქალაქში გამართულ მსოფლიო ოლიმპიადაში. მათ ჯერ კიდევ შეჯიბრების ფინიშამდე ერთი ტურით ადრე უზრუნველყვეს ეს წარმატება, როცა უახლოეს მდევრებს — უნგრელ მოჭადრაკეებს 3 ქულით გაუსწრეს. საბჭოთა ნაკრების ღირსებას ამჯერად დიდოსტატები ა. კარპოვი, ვ. ტუკმაკოვი, ი. ბალაშოვი, რ. ვაგანიანი და ოსტატები მ. პოდგაეცი და ი. ანიკაევი იცავდნენ.

● ალმა-ათა, 30 ივლისი. აქ დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატის ფინალური მატჩები ბალახის ჰოკეიში. შაბათს და კვირას გამართული შეხვედრების შედეგები ასეთია: „ვოლგა" (ულიანოვსკი) — „ტორპედო" (სიზრანი) 5:0, „ვოლგა" (ულიანოვსკი) — ასკ (ხაბაროვსკი) 3:1, „დინამო" (ალმა-ათა) — „ფილი" (მოსკოვი) 2:1, „დინამო" (ალმა-ათა) — „ვოდნიკი" (არხანგელსკი) 2:0, „ურალსკი ტრუბნიკი" (პერვოურალსკი) — „ვოდნიკი" 3:2 ასკ — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი (ერევანი) 4:0, „ტორპედო" — „ფილი" 3:1, „ურალსკი ტრუბნიკი" — ფიზკულტურის ინსტიტუტის სპორტკლუბი 3:0.

● მინსკი, 30 ივლისი. სტუდენტთა საკავშირო სპარტაკიადის პროგრამით აქ გამართულ მძლეოსნურ შეჯიბრებაში უკონკურსოდ მოასპარეზე მოსკოველებმა ნ. ბესფამილნაიამ და გ. ბუხარინამ 100 მ ერთნაირი შედეგით (11,3) გაირბინეს. ეს საუკეთესო დროა წლეულს საბჭოთა ქვეყანაში. ვაჟთა შორის ამ მანძილზე პირველი იყო ურალის სატყეოტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი ი. მაევსკი — 10,3. 200 მეტრზე თარჯრბენში ლენინგრადელმა ტ. ანისიმოვამ საკავშირო რეკორდი გაიმეორა — 26,6. მისმა თანაქალაქელმა მ. სიდოროვამ ყველას აჯობა 200 მეტრზე რბენაში — 23,4 (საუკეთესო შედეგი წლეულს სსრ კავშირში).

● ლენინგრადი, 30 ივლისი. აქ დაიწყო რუსეთის ფედერაციის მოჭადრაკე ქალთა VII ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი. შეჯიბრებაში მონაწილეობენ სსრ კავშირის ჩემპიონი ი. ლევიტინა, რსფსრ-ს ჩემპიონი ლ. საუნინა, რ. ბილუნოვა, ვ. კოზლოვსკაია, ა. სკეგინა, ო. პედკო, ა. ეპშტეინი (ყველა — რსფსრ), ს. ვოკრჟალოვა (ჩეხოსლოვაკია), მ. პოგორევიჩი (რუმინეთი), მ. პორუბსკი (უნგრეთი), ვ. შიკოვა (ბულგარეთი), ჟ. ხულგანა (მონღოლეთი), ა. იურჩინსკა (პოლონეთი) და ქ. ჰოლცლაინე (გდრ). I ტურში ლევიტინამ წააგო ვოკრჟალოვასთან. ეპშტეინმა სძლია პოგორევიჩს, სკეგინამ — პორუბსკის. ყაიმით დასრულდა ხულგანა — ჰოლცლაინეს შეხვედრა. სხვა პარტიები გადაიდო.

## უმაღლესი მსოფლიო მიღწევა

ლონდონი, 30 ივლისი. ინგლისელმა მძლეოსანმა, 32 წლის პოლ ნიჰილმა უმაღლესი მსოფლიო მიღწევა დაამყარა 20 კილომეტრზე სპორტულ სიარულში — 1:24.10.

უწინდელი მიღწევა ერთბაშად ორ სპორტსმენს — გდრ-ის წარმომადგენლებს ჰ. რიმანსა და პ. ფრინკელს ეკუთვნოდათ, რომლებმაც ერთ შეჯიბრებაში ერთდროულად გადაკვეთეს ფინიში — 1:24.39,4.

მძლეოსნობა

## მორიგი ტირაჟი

ვოლგოგრადი, 30 ივლისი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს" მორიგი, 21-ე ტირაჟი. აი, იღბლიანი ნომრები: 1 (ავტოსპორტი), 9 (ჭიდაობა), 18 (რიკაობა), 22 (ციგურები), 26 (მოტობურთი), 44 (ფიგურული ციგურაობა).

## ლელოს ქრონიკა

საბჭოთა სტუდენტ მოჭადრაკეთა გამარჯვება

თასის ორი ნახევარფინალური მატჩი — 110:55, 82:74

თბილისის ზღვის „ბილიკებზე"

დუშანბეში დაკარგული ქულა

V ოლიმპიური თამაშები

## წარმატება პირველ მატჩში

საკრამენტო (კალიფორნია), 30 ივლისი. ამერიკის შეერთებული შტატების ამ ქალაქის სტადიონზე დიდი ინტერესი გამოიწვია სპორტის ისტორიაში პირველმა მატჩმა აშშ-სა და სსრ კავშირის იუნიორ მძლეოსანთა გუნდებს შორის.

შეჯიბრება არაჩვეულებრივად ცხელ ამინდში მიმდინარეობდა — თერმომეტრის სინდიყი 30 გრადუსზე მეტს უჩვენებდა. მაგრამ ამ პაპანაქება სიცხემ ვერ შეაკრთო მოასპარეზენი, რომლებმაც მწვავე ბრძოლა გააჩაღეს. მატჩი, რომელშიც 20 წლამდე ასაკის სპორტსმენები მონაწილეობდნენ, საბჭოთა მძლეოსნების გამარჯვებით დამთავრდა — 124:108. 1500 მეტრიდან მოყოლებული მათ ყველა მანძილზე იმარჯვეს, ამერიკელები კი უფრო ძლიერი აღმოჩნდნენ მოკლე დისტანციებზე შეჯიბრებაში.

სიგრძეზე ხტომაში ბრწყინვალე შედეგს მიაღწია ერთ-ერთმა მასპინძელმა რ. ვილიამსმა — 834 სმ. ვ. პოდლუჟნი II ადგილზე გავიდა ასევე მაღალი მაჩვენებლით — 810 სმ.

შემდეგი შეხვედრა გაისად გაიმართება საბჭოთა კავშირში.

## თერთმეტიდან რვა

ლვოვი, 30 ივლისი. რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის აქ დამთავრებულ IV ჩემპიონატში საბჭოთა მოკრივეებმა 11 ოქროს მედლიდან 8 მოიგეს. ადგილობრივი ცირკის რინგზე ხუთი დღის განმავლობაში სსრ კავშირის, ბულგარეთის, გდრ-ის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიის, რუმინეთისა და იუგოსლავიის 70 წარმომადგენელი იბრძოდა.

რკინიგზელთა საერთაშორისო სპორტული კავშირის ოქროს მედლები დაისაკუთრეს (წონითი კატეგორიების მიხედვით): ს. კოზლოვსკიმ (პოლონეთი), ა. პუტინცევმა, ვ. პერეპელიცამ, ო. ბუროვმა, ა. ანდრიანოვმა, ი. ტხოროვსკიმ (ყველა — სსრ კავშირი). ფ. დუმიტრუმ (რუმინეთი), ვ. კლაუსმა (გდრ), ნ. შოლგინსკიმ, ი. ჩიტალკინმა, ა. ბარანოვმა (სამივე — სსრ კავშირი).

საერთო გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რინგის მასპინძლებმა, რომლებმაც 64,5 ქულა დააგროვეს. II საპრიზო ადგილზეა რუმინეთის ნაკრები (38), III — ბულგარელთა კოლექტივი (30,5).

ჩემპიონატი მეგობრულ ვითარებაში ჩატარდა.

მსაჯთა ბრიგადას ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი ვ. პოპენჩენკო ხელმძღვანელობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

*ი. გაგარინის III მემორიალი*

# მთავარი ბრძოლა წინაა

### ბოლო კალენდარული მატჩები

კვირას თბილისის სპორტის სასახლეში დამთავრდა კალათბურთელ ვაჟთა საერთაშორისო ტურნირი — ი. გაგარინის III მემორიალი. ბოლო კალენდარული მატჩების შედეგები ასეთია: სსრ კავშირი (ოლიმპიური) — აშშ 104:75 (49:34), ჩეხოსლოვაკია — სსრ კავშირი (ახალგაზრდული) 92:59 (39:32), საქართველო — ფინეთი 90:76 (41:36), ჩეხოსლოვაკია — აშშ 78:65 (38:29).

### გათამაშების საბოლოო ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| სსრკ (ოლიმპიური) | 5 | 5 | 0 | 455—340 | 5 |
| ჩეხოსლოვაკია | 5 | 3 | 2 | 387—343 | 3 |
| აშშ | 5 | 3 | 2 | 381—398 | 3 |
| სსრკ (ახალგაზრდული) | 5 | 2 | 3 | 393—433 | 2 |
| საქართველო | 5 | 2 | 3 | 377—409 | 2 |
| ფინეთი | 5 | 0 | 5 | 376—446 | 0 |

### სპეციალური პრიზებიც განაწილდა

ტურნირის შემდეგ მსაჯთა კოლეგიამ შეაჯამა შედეგები და გაანაწილა სპეციალური პრიზები, რომლებიც მიიღეს: კ. სარკალოჰტიმ (ფინეთი) — ყველაზე შედეგიანმა კალათბურთელმა, გ. ავდეევმა (სსრკ ახალგაზრდული) — საჯარიმო ხროლის საუკეთესო შემსრულებელმა, ი. ედეშკომ (სსრკ ოლიმპიური) — საუკეთესო მცველმა, ე. პოსპიშილმა (ჩეხოსლოვაკია) — საუკეთესო თავდამსხმელმა, ა. ბელოვმა (სსრკ ოლიმპიური) — საუკეთესო ცენტრალურმა თავდამსხმელმა, ლ. ჩხიკვაძემ (საქართველო) — ყველაზე აქტიურმა კალათბურთელმა, გ. კლიუსმა (აშშ) — ფარქვეშ წარმატებით ბრძოლისთვის.



Დამთავრდა კალათბურთელთა კიდევ ერთი წინასაოლიმპიადო შემოწმება, დამთავრდა ისე, როგორც უნდა დამთავრებულიყო — სსრ კავშირის ნაკრების იოლი და დამაჯერებელი გამარჯვებით. კანონზომიერად მიგვაჩნია ჩეხოსლოვაკიელთა წარმატებაც. ამ ქვეყნის ოლიმპიურმა ნაკრებმა ხუდ ფინიშზე გამოსტაცა II ადგილი აშშ-ს სპორტსმენებს და ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ მიუნჰენში მას ერთი რომელიმე საპრიზო ადგილისთვის ბრძოლის რეალური შანსი ექნება.

რამდენადმე გაურკვეველი იყო ამერიკელთა როლი ამ ტურნირში. შეერთებული შტატების გუნდი არ იყო ისეთი ძლიერი, როგორსაც კალათბურთის ფუძემდებლებისგან ველოდით, თუმცა ზოგიერთი მოთამაშის მაღალმა ოსტატობამ სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა. ამერიკელები ამბობენ, რომ გუნდის ორი წევრი — ს. ინგლიში (№ 40) და გ. კლიუსი (№ 44) სულ მალე პროფესიონალთა კლუბებში გადავლენო. რამდენად შეეფერება სიმართლეს ეს განცხადება, ძნელი სათქმელია, მით უმეტეს, რომ ინგლიშმაცა და კლიუსმაც თბილისში საშუალოდ ითამაშეს.

ამერიკელი მწვრთნელები გულდასმით ადევნებდნენ თვალს საბჭოთა ოლიმპიური ნაკრების თამაშს. მათ არც ერთი შეხვედრა არ გამოუტოვებიათ ამ გუნდის მონაწილეობით. უფრო მეტიც, საბჭოთა ოლიმპიელების ყველა გამოსვლა ამერიკელებმა კინოფირზე აღბეჭდეს. აი, სწორედ ეს გარემოება გვაძლევს საბაბს ვიფიქროთ, რომ ოკეანესგაღმელ კალათბურთელთა მთავარი ამოცანა საბჭოთა ნაკრების ძლიერების შემოწმება იყო. არავისთვის არ არის საიდუმლო, რომ მომავალ ოლიმპიურ თამაშებში მთავარი ბრძოლა პირველობისთვის სსრ კავშირისა და აშშ-ს ეროვნულ გუნდებს შორის გაიმართება. ისიც ცნობილია, რომ ამერიკელები სერიოზულად არიან შეშფოთებული საბჭოთა ნაკრების ბოლო წარმატებებით, მეტოქის პოტენციალს ფხიზლად აფასებენ და არ მალავენ, რომ მთავარ კონკურენტად ევროპული კალათბურთის ლიდერები მიაჩნიათ.

გაგარინის მემორიალმა მათ ალბათ გარკვეული წარმოდგენა შეუქმნა საბჭოთა გუნდზე. ისინი, სხვათა შორის, პირდაპირ აცხადებენ, რომ საბჭოთა ნაკრები მუდამ მსოფლიო კალათბურთის ავანგარდში ეგულებოდათ, მაგრამ გუნდზე საბოლოო წარმოდგენას მაინც ვერ შეიქმნიდნენ იმ უბრალო მიზეზით, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის შემადგენლობაში დასაზუსტებელი. სსრ კავშირის ნაკრები ამ დღეებში იტალიას გაემგზავრება, სადაც ორ მიკროტურნირში საბოლოო სახით ჩამოყალიბდება.

საქართველოს კალათბურთელებმა სატურნირო ცხრილში V ადგილი დაიკავეს, მოიგეს ორი მატჩი, მათ შორის ერთი — ჩეხოსლოვაკიის ოლიმპიურ ნაკრებთან. ეს, რა თქმა უნდა, არ არის ურიგო შედეგი, თუმცა უკეთეს ადგილზე გასვლის შანსიც საკმაოდ რეალური ჩანდა. ჩვენმა გუნდმა თამამად ანდო ადგილები ახალგაზრდებს, გამოსცადა ისინი მძიმე, საპასუხისმგებლო ბრძოლაში და ეს არის, ჩვენი აზრით, მემორიალის ერთ-ერთი მთავარი ღირსება.

განსაკუთრებით ეფექტური იყო ჩვენების ბოლო გამარჯვება ფინელებთან. მასპინძლებმა ლამაზად, გააზრებულად ითამაშეს. სუომის ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები ხელწამოსაკრავი არ გახლავთ, მით უმეტეს, ამ ტურნირის შემდეგ მან ოლიმპიადაში მონაწილეობის უფლებისთვის უნდა იბრძოლოს და, როგორც სპეციალისტები ამბობენ, წარმატების ყველა შანსი აქვს. ასე რომ, ჩვენი გუნდის ბოლო გამარჯვებას პერსპექტიული მნიშვნელობაც ენიჭება.

ჩეხოსლოვაკიის გუნდმა ტურნირის დახურვის დღეს დაამარცხა ამერიკელები და II საპრიზო ადგილი დაიკავა. ეს წარმატება პირდაპირი შედეგია იმ უპირატესობისა, რომელსაც გამარჯვებული გუნდი ფლობდა მთელი შეხვედრის მანძილზე. მის შემადგენლობაში გამოდიოდნენ ევროპულ სარბიელზე საკმაოდ ცნობილი სპორტსმენები: ე. პოსპიშილი, ე. ზიდეკი, ე. ზედნიჩეკი, ი. ბობროვსკი, ე. რუჟიჩკა და სხვ. ამ შემადგენლობას, ისევე როგორც მთელს გუნდს, დიდი საერთაშორისო ავტორიტეტი აქვს და, ცხადია, იგი კიდევ ბევრჯერ გამოიჩენს თავს.

**ნ. გუგუშვილი.**

• • •

სურათებზე: ჩეხოსლოვაკიის გუნდის მოთამაშე ზ. კოსი (მარცხნივ) და რ. ბოუგადი (აშშ) ფარქვეშ ბრძოლისას; ფრაგმენტი საქართველოსა და ფინეთის კალათბურთელთა შეხვედრიდან. თბილისელი თ. ჩიხლაძე იწყებს შეტევას.

მ. ზარგარიანის ფოტოები.



## ნახევარფინალები

29 ივლისს მოსკოვსა და კიევში გაიმართა კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო თასის გათამაშების პირველი ნახევარფინალური მატჩები.

მოსკოვში ადგილობრივმა არმიელებმა ტარტუს „კალევს" სძლიეს — 110:55.

გაცილებით მძაფრი იყო ბრძოლა კიევში „სტროიტელსა" და კაუნასის „ჟალგირისს" შორის. გამარჯვება ამჯერადაც მასპინძლებს ხვდათ — 82:74.

განმეორებით ნახევარფინალურ შეხვედრებს ეს გუნდები 5 აგვისტოს გამართავენ, ფინალური მატჩები კი 9 და 12 აგვისტოს ჩატარდება.

## სოფლებს შორის

ჩოხატაურის რაიონის ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და „კოლმეურნის" რაისაბჭოს თაოსნობით ჩატარდა სოფლის ფიზკულტურელთა სპარტაკიადა. პროგრამაში შედიოდა ჭადრაკი, შაში და ფრენბურთი. ტურნირებში მონაწილეობდნენ ყველა სოფლის კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებათა გუნდები.

ჭადრაკში I ადგილი დაიკავეს ხევის სპორტსმენებმა. II ადგილზეა ხიდისთავის გუნდი, III — საშების ნაკრები.

შაშში გაიმარჯვეს ჩოხატაურელებმა. II ადგილზე არიან წიფნარელები. III-VI ადგილები გაინაწილეს ბასილეთის, დაბლაციხის, ბურნათისა და შუა სურების კოლექტივებმა.

ფრენბურთში ყველას აჯობეს შუა სურების წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ ზოტის, III — ხიდისთავის სპორტსმენები.

საერთო გუნდური I ადგილი დაბლაციხელმა ფიზკულტურელებმა დაიკავეს. II ადგილი წილად ხვდათ კოხნარის, III — ბუკნარის წარმომადგენლებს.

**დ. გურგენიძე,**
ჩოხატაურის რაიონის სოფელ კოხნარის საშუალო სკოლის მასწავლებელი.

## ენთუზიასტებს მხარდაჭერა სჭირდებათ

თბილისის ზღვაზე დამთავრდა საქართველოს პირადი პირველობა წყალსათხილამურო სპორტში. ასპარეზობაში მხოლოდ თბილისისა და აფხაზეთის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ.

ვიდრე შეჯიბრების მსვლელობაზე ვიტყოდეთ რამეს, უნდა აღინიშნოს, რომ სპორტის ამ საინტერესო სახეობას, რომელიც ჩვენში ფეხის მოკიდებას კარგა ხანია ცდილობს, ფიზკულტურული ორგანიზაციებისგან სათანადო მხარდაჭერა არა აქვს. ამას თუნდაც ის ადასტურებს, რომ მონაწილეთა რაოდენობა წლიდან წლამდე მცირდება და ახლაც ფავორიტებად ისევ ის ენთუზიასტები ვიხილეთ, რომლებმაც ამ რამდენიმე წლის წინ გამართულ პირველ რესპუბლიკურ ტურნირში წარმატებას მიაღწიეს. გამონაკლისი მხოლოდ ქალთა შორის მოწინავენი და თბილისელი ჭაბუკი გ. ურუშაძე იყვნენ.

ასპარეზობის პროგრამის პირველი სახეობა სლალომი გახლდათ. თბილისელმა ვეტერანებმა ა. სანაძემ და ო. გოცირიძემ ერთნაირი შედეგები აჩვენეს — 26-26 ქულა დააგროვეს. გამარჯვება სანაძეს მიეკუთვნა. ასევე თანაბარი ქულებით (18-18) დაამთავრეს ტურნირი ურუშაძემ და თბილისელმა გ. ყიასაშვილმა. III ადგილი ჭაბუკ მოთხილამურეს ხვდა.

მერე გაიმართა შეჯიბრება ფიგურულ სრიალში. აი, აქ საქართველოს ჭაბუკთა შორის ერთ-ერთმა საუკეთესო სამთომოთხილამურემ ურუშაძემ მთლიანად გამოავლინა ბაკურიანში, კოხტაგორის ფერდობებზე მიღებული წრთობა: 1029 ქულა მოაგროვა და II ადგილზე გასულ სანაძეს 300-ზე მეტი ქულით აჯობა.

ტრამპლინიდან ხტომაში საქართველოს ჩემპიონი გახდა გოცირიძე. მისი საუკეთესო ნახტომი 26 მ. იყო. თბილისელი გ. ბაქანიძე ჩემპიონს მეტრით ჩამორჩა და ამდენივეთი მოუგო ყიასაშვილს, რომელიც III ადგილს დასჯერდა.

სამჭიდის ჯამში პირველობა დარჩა ბაქანიძეს, რომელიც ყველა სახეობაში შედარებით თანაბრად გამოვიდა და 2317 ქულის მოგროვება შეძლო. გოცირიძემ 2293 ქულით II ადგილი დაიკავა. III ადგილზეა ურუშაძე — 2118.

ქალთა შორის სლალომში თბილისელმა ლ. ქიტესაშვილმა გაიმარჯვა, ფიგურულ სრიალში — მისმა თანაქალაქელმა ლ. ხეცურიანმა.

**ხ. ლამარია.**

• • •

სურათზე: ლ. ხეცურიანი (მარცხნივ) და გ. ყიასაშვილი შეჯიბრების დროს.

ო. გელაშვილის ფოტოები.

## შოფრები სტარტზე

სოხუმის ავტოსატრანსპორტო დაწესებულებების მუშაკთა III სპარტაკიადა სსრ კავშირის შექმნის 50 წლისთავს მიეძღვნა. პროგრამაში იყო ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი და მძლეოსნობა. შეჯიბრებაში მონაწილეობდა 100-მდე სპორტსმენი.

საერთო გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ტაქსომოტორის პარკის კოლექტივი, რომელმაც გაიმარჯვა მაგიდის ჩოგბურთსა და ჭადრაკში. II ადგილზე არიან № 1 ავტოსატრანსპორტო საწარმოს სპორტსმენები. ისინი ჩემპიონები გახდნენ მძლეოსნობაში. III ადგილზე გავიდნენ № 2654 ავტოკოლონის ფიზკულტურელები, რომელთაც ფრენბურთში იმარჯვეს.

**გ. იაშვილი.**
(ჩვენი კორ.).

სოხუმი.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფეხბურთი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### I ლიგა

### ისევ 1:1

29 ივლისს შედგა მორიგი ტურის კალენდარული მატჩები.

ქუთაისის ტორპედოელები დუშანბეში შეხვდნენ ადგილობრივ „პამირს" და ფრეს დასჯერდნენ — 1:1.

სხვა მატჩები ასე დამთავრდა: „ალგა" (ფრუნზე) — „შახტიორი" (დონეცკი) 0:0, „სტროიტელი" (აშხაბადი) — „სპარტაკი" (ორჯონიკიძე) 1:1, „ფახთაქორი" (ტაშკენტი) — „ავტომობილისტი" (ნალჩიკი) 4:0, „დინამო" (ლენინგრადი) — „შინიკი" (იაროსლავლი) 1:2, „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) — „შახტიორი" (ყარაგანდა) 2:1, „კრივბასი" (კრივოი როგი) — „კრილია სოვეტოვი" (კუიბიშევი) 1:0, „ნისტრუ" (კიშინიოვი) — „ზვეზდა" (პერმი) 3:0, „ჩერნომორეცი" (ოდესა) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 3:0.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 1 აგვისტოსთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ფახთაქორი" | 21 | 15 | 4 | 2 | 37—14 | 34 |
| „ჩერნომორ." | 21 | 12 | 7 | 2 | 40—15 | 31 |
| „შახტ." (დ.) | 21 | 8 | 10 | 3 | 27—12 | 26 |
| „ტორპედო" | 21 | 11 | 4 | 6 | 30—16 | 26 |
| „ზვეზდა" | 21 | 10 | 6 | 5 | 25—20 | 26 |
| „შინიკი" | 20 | 10 | 4 | 6 | 20—16 | 24 |
| „პამირი" | 21 | 9 | 6 | 6 | 28—27 | 24 |
| „ალგა" | 21 | 6 | 9 | 6 | 19—15 | 21 |
| „შახტ." (ყ.) | 21 | 6 | 9 | 6 | 21—19 | 21 |
| „სპარტაკი" | 21 | 7 | 7 | 7 | 24—26 | 21 |
| „მეტალის." | 20 | 6 | 8 | 6 | 21—20 | 20 |
| „კრ. სოვეტ." | 21 | 4 | 12 | 5 | 18—22 | 20 |
| „სტროიტ." | 21 | 6 | 6 | 9 | 21—35 | 18 |
| „მეტალურ." | 21 | 6 | 5 | 10 | 28—28 | 17 |
| „ნისტრუ" | 21 | 6 | 5 | 10 | 22—26 | 17 |
| „ავტომობ." | 21 | 4 | 9 | 8 | 15—24 | 17 |
| „კრივბასი" | 21 | 4 | 7 | 10 | 27—40 | 15 |
| „დინამო" | 20 | 3 | 8 | 9 | 13—24 | 14 |
| „ტექსტილ." | 20 | 4 | 6 | 10 | 17—32 | 14 |
| „ურალმაში" | 21 | 2 | 6 | 13 | 17—38 | 10 |

## 2:1, 2:0, 1:0, 2:2...

### II ლიგა III ზონა

29 ივლისს გაიმართა მორიგი კალენდარული შეხვედრები. ჩვენი კორესპონდენტები ტელეფონით გვატყობინებენ:

### ბათუმი

ადგილობრივი „დინამოს" შეხვედრა ვორონეჟის „ტრუდთან" მეტად საინტერესო გამოდგა. ორივე გუნდი ზონის წამყვან ჯგუფშია და ამიტომ მათი თამაშის შედეგს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ამას გარდა, პირველ წრეში ბათუმელებმა „ტრუდი" მისსავე მინდორზე დაამარცხეს (1:0) და, ცხადია, ვორონეჟელები დიდი მონდომებით იბრძოლებდნენ რევანშისთვის.

დინამოელებმა სწორი ტაქტიკური გეგმა აირჩიეს და პირველივე წუთებიდან მთელი ძალებით შეუტიეს. რამდენიმე ხელსაყრელი შესაძლებლობის შემდეგ ანგარიშიც გაიხსნა. ეს ასე მოხდა: ხიზანიშვილმა თავისი ნახევრიდან წამოიწყო შეტევა და გადასცა ბურთი ჩხარტიშვილს, რომლისგანაც იგი რამიშვილთან მოხვდა. ხიზანიშვილი ამასობაში კარგ პოზიციაში გავიდა, მიიღო გადაცემა და კარისკენ დაარტყა. ბურთს მიუსწრო კვიტაიშვილმა — 1:0.

მე-19 წუთზე ჩხარტიშვილმა უნარიანად გამოიყენა შექმნილი ვითარება და მეორედ აიძულა „ტრუდი" ცენტრიდან დაეწყო თამაში. ტაიმის ბოლოს კვიტაიშვილი პირისპირ აღმოჩნდა მოწინააღმდეგე მეკარესთან, დარტყმა კი მიზანს ააცდინა.

შესვენების შემდეგ ვორონეჟელებმა საგრძნობი გარდატეხა შეიტანეს თამაშში და უკვე დაწყებისთანავე განახორციელეს რამდენიმე სახიფათო იერიში. მე-60 წუთზე დინამოელთა ხხარეს დაინიშნა საჯარიმო დარტყმა. პროსკურინმა 20 მეტრიდან ძლიერად და ზუსტად დაარტყა — 1:2.

დარჩენილ დროში ბრძოლა უკიდურესად დაძაბული და შეუპოვარი იყო. მეტოქეებმა ბევრი ძალა დახარჯეს ანგარიშის შეცვლისთვის, მაგრამ ვერ შეძლეს ეს და ბათუმელებმა დამსახურებულად ჩაიწერეს მორიგი 2 ქულა.

ო. მურვანიძე.

### ფოთი

ფოთის „კოლხეთმა" ნოვომოსკოვსკის „ხიმიკს" უმასპინძლა. პირველ 20 წუთს თამაში მინდვრის შუაგულში მიმდინარეობდა და ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო რამდენადმე მაინც შესამჩნევი უპირატესობის მოპოვება. შემდეგ რამდენიმე შეტევა განახორციელეს „კოლხეთის" თავდამსხმელებმა, თუმცა მათი საბოლოო დარტყმები უსეირო იყო.

გაცილებით უკეთ ითამაშეს ფოთელებმა მეორე ტაიმში. 57-ე წუთზე „ხიმიკის" მხარეს დაინიშნა საჯარიმო. სანაიამ მოძებნა დაუცველი ადგილი მცველთა კედელში და იქით გაგზავნა ბურთი —1:0. შემდეგ მასპინძლებს კვლავ მიეცათ ბურთის გატანის შესაძლებლობა: ერთ-ერთ მომენტში ბურთი სტუმრების კარში მიდიოდა, მაგრამ ბოლო წამს ზედ კართან მოუსწრო ერთ-ერთმა მოთამაშემ. 70-ე წუთზე კვარაცხელია კარგად გავიდა „ხიმიკის" მცველთა შორის და, როცა მეკარესთან პირისპირ დარჩა, უზუსტოდ დაარტყა.

მატჩის დასასრული კვლავ ფოთელთა ტერიტორიული უპირატესობით მიმდინარეობდა და უკვე მაშინ, როცა მსაჯის საფინალო სასტვენს 3 წუთი აკლდა, ჭედიამ ზუსტი დარტყმით განამტკიცა თავისი გუნდის წარმატება — 2:0.

ბ. ბასილაია.

### გორი

ადგილობრივი „დილის" მეტოქე იყო ზონის აუტსაიდერი — კურსკის „შრომითი რეზერვები". როგორც მოსალოდნელი იყო, გორელებმა თავიდანვე ხელთ იგდეს უპირატესობა და ისე წარმართეს თამაში, რომ დროდადრო თითქმის არც სცილდებოდნენ სტუმრების საჯარიმო მოედანს, მაგრამ შედეგი არა და არ ჩანდა. ისევე როგორც წინა მატჩში, სუსტად ითამაშა „დილის" თავდასხმამ, რომელიც ხშირად კარგავდა ბურთს და უნაყოფოდ ამთავრებდა წამოწყებულ იერიშებს. თავდასხმას ბევრად არც სხვა რგოლები სჯობდნენ.

შეხვედრის დასასრულს ათიოდე წუთი აკლდა, როცა გორელებმა, როგორც იქნა, საწადელს მიაღწიეს: ხუციშვილი მარჯვენა ფლანგზე გაექცა მცველებს და ზუსტად დაარტყა — 1:0. ამ გოლმა გამარჯვება მოუტანა „დილას".

• • •

28 ივლისს აქვე შედგა კალენდარული მატჩი რუსთავის „მეტალურგსა" და ბელგოროდის „სალუტს" შორის (საკუთარი მინდვრის დისკვალიფიკაციის გამო „მეტალურგი" მეორე მატჩს ატარებს ნეიტრალურ სტადიონზე).

რუსთაველმა ფეხბურთელებმა კარგად დაიწყეს შეხვედრა, მაგრამ მე-15 წუთზე საკუთარ კარში მიიღეს გოლი გასილიევისგან. ამ ბურთის გაქვითვა „მეტალურგმა" შეძლო მხოლოდ 34-ე წუთზე ჩიტაურისა და ღოღობერიძის მიერ კარგად გათამაშებული კომბინაციის შემდეგ.

მეორე ტაიმში იგივე გამეორდა: რუსთაველები განუწყვეტლივ უტევდნენ, „სალუტმა" კი კვლავ წარმატებით განახორციელა კონტრიერიში და ისევ დაწინაურდა — 2:1.

„მეტალურგმა" დამარცხებას თავი დააღწია მაშინ, როცა ბელგოროდელთა ერთ-ერთმა მცველმა ხელით ითამაშა საკუთარი კარის სიახლოვეს და იმავე ღოღობერიძემ ზუსტად დაარტყა პენალტი — 2:2.

გ. გოზალიშვილი.

### სხვა მატჩები

ასე დამთავრდა: „დრუჟბა" (მაიკოპი) — „სპარტაკი" (ორიოლი) 4:2, „გურია" (ლანჩხუთი) — „მაშინოსტროიტელი" (პოდოლსკი) 1:0, „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) — „ყუბანი" (კრასნოდარი) 0:2, „მერცხალი" (მახარაძე) — „მეტალურგი" (ლიპეცკი) 1:1.

## საწონებთან ჭიდილში

ახალგაზრდა ძალოსანთა ნამდვილი სპორტული დღესასწაული იყო ამას წინათ „ლოკომოტივის" სტადიონზე ჩატარებული რესპუბლიკური კონკურს-შეჯიბრების დასკვნითი ეტაპი. კონკურსი ითვალისწინებდა სამჭიდის შემდეგ სახეობებს: ორი საწონის ერთდროულად აჭიმვას მხრებიდან გამართულ მკლავებზე, ორი საწონით მხრებზე ჩაცუქსას და ერთი საწონის ატაცს გამართულ მკლავზე. ყოველი ვარჯიშის შესრულებით მონაწილე თავის გუნდს ერთ ქულას აძლევდა. შეჯიბრების მონაწილენი დაყოფილი იყვნენ ორ ასაკობრივ ჯგუფად: 14-17 წლის ჭაბუკები და 18-22 წლის იუნიორები. ეს ასაკობრივი ჯგუფები შესაბამისად ერთ და ორფუთიანი საწონებით ასპარეზობდნენ.

ორიოდე სიტყვა ადგილობრივ, რაიონულ, საქალაქო და საოლქო კონკურსებზე. რესპუბლიკური კონკურსის ჩატარება საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის კოლეგიამ ერთობლივად ჯერ კიდევ შარშან ოქტომბერში დაადგინეს. კონკურსის მიზანი იყო მოსწავლე და მშრომელი ახალგაზრდობის მასობრივი ჩაბმა ფიზკულტურასა და სპორტში. მისი დევიზი ასეთი გახლდათ: „ახალგაზრდობის ფართო მასები — უმაღლესი სპორტული ოსტატობის გზაზე!"

ერთი სიტყვით, ბევრად უკეთეს შედეგებს ველოდით, ადგილებზე, რაიონებსა და ქალაქებში კონკურსები სათანადო დონეზე რომ ჩატარებულიყო, კომკავშირულ და ფიზკულტურულ აქტივს დროულად რომ მოეკიდნა ხელი ამ სასარგებლო საქმისთვის. მიუხედავად მთელი რიგი ღონისძიებებისა, კონკურსმა საყოველთაო ხასიათი მაინც ვერ მიიღო.

დამაკმაყოფილებლად ჩატარდა აჭარისა და აფხაზეთის რესპუბლიკური, ქუთაისის, რუსთავისა და ზუგდიდის საქალაქო, წითელი წყაროსა და წალკის რაიონული კონკურს-შეჯიბრებები. მაგრამ რით გაიმართლებენ თავს სამხრეთ ოსეთის, თელავის, დუშეთის, ქიათურის, ტყიბულის, ახალციხისა და მთელი რიგი სხვა რაიონების კომკავშირული და ფიზკულტურული ორგანიზაციების წარმომადგენლები, რომლებმაც „ვერ მოიცალეს" ამ მასობრივი და მომავლისთვის ფრიად საჭირო ღონისძიების ჩატარებისთვის?

რესპუბლიკურ დასკვნით კონკურსში „ლოკომოტივის" ტრიბუნების წინ ოთხ ფიცარნაგზე მრავალი ათასი მაყურებლის წინაშე საინტერესოდ წარიმართა 11 მონაწილე გუნდის წევრთა ასპარეზობა ატაცში (პირველი ორი ვარჯიში დღის საათებში ძალოსნობის სპეციალიზებულ დარბაზში ჩატარდა).

მჩატე წონის (56 კგ-მდე) ჭაბუკთა შორის პირველობის რეალური პრეტენდენტები იყვნენ თბილისელი ს. ჯავახოვი, რუსთაველი ვ. კარპენკო და აჭარის წარმომადგენელი დ. ტაკიძე. ჯავახოვმა ლიდერობა ბოლომდე შეინარჩუნა და სამჭიდის ჯამში 175 ქულით პირველობა დაისაკუთრა.

ამავე ასაკის მსუბუქი წონის ძალოსანთა ასპარეზობაში რუსთაველმა ა. ინასარიძემ შესაშური ძალა და გამძლეობა გამოავლინა. მან სარეკორდო შედეგი მოიპოვა (240 ქულა მხოლოდ ატაცში), მაგრამ გამარჯვება წილად ხვდა შესანიშნავად მოასპარეზე აფხაზეთის წარმომადგენელს, 16 წლის ა. მარგანსუზიანს, რომელმაც აბსოლუტური I ადგილისთვის (სამჭიდში 351 ქულა) საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სპეციალური პრიზი დაისაკუთრა.

მაღალი შედეგებით აღინიშნა, აგრეთვე, მძიმეწონოსანთა (70 კგ-ს ზევით) ტურნირი. აქ იმარჯვა რუსთაველმა გ. კაპანაძემ, რომელმაც სამჭიდში 331 ქულა დააგროვა და 61 ქულით აჯობა სამხრეთ ოსეთის წარმომადგენელს ვ. ულუმბეკოვს.

იუნიორთა შორის მჩატე წონაში გაიმარჯვა ქუთაისელმა შ. ფხაკაძემ, მსუბუქ წონაში—რუსთაველმა ი. გრეჩკინმა, მძიმეში — წალკელმა თ. კიურჯიევმა.

გუნდური საპრიზო ადგილები ასე განაწილდა: რუსთავი, წითელი წყარო, თბილისი.

მსაჯთა კოლეგიამ მთავარი მსაჯის კ. ზაუტაშვილის ხელმძღვანელობით კარგად გაართვა თავი შეჯიბრების ორგანიზაციას. მას დიდად დაეხმარნენ „ლოკომოტივის" სტადიონისა და საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტკომბინატის დირექტორები თ. ქორქოლიანი და ი. პეტრეველი.

გ. გოდერძიშვილი,
საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში.



## მეხანძრეთა ოსტატობა

რუსთავში გაიმართა საქართველოს პირად-გუნდური პირველობა სახანძრო-გამოყენებითს სპორტში. შეჯიბრებაში მონაწილეობდა აფხაზეთის, აჭარის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, რუსთავის, ფოთის, ტყიბულის, ახალციხისა და მახარაძის 110 საუკეთესო მეხანძრე (უკონკურსოდ გამოდიოდნენ თბილისის არმიის სპორტული კლუბის წარმომადგენლები), რომელთა შორის იყვნენ სპორტის ოსტატები და ოსტატობის კანდიდატები, საქართველოს ჩემპიონები და რეკორდსმენები.

დაბრკოლებათა 100-მეტრიანი ზოლის გადალახვაში I და II ადგილები დაიკავეს ფოთის გუნდის წარმომადგენლებმა გივი (17,7) და გალაქტიონ (18,3) ბუკიებმა. III ადგილზეა მ. დუმბაძე (აჭარა).

4×100 მეტრზე ესტაფეტა მოიგო აჭარის ნაკრებმა (კარუშევი, დუმბაძე, მურადიანი, სამხარაძე) — 1.11,2, II ადგილზე გავიდნენ ფოთელები, III — თბილისელები.

საიერიშო კიბით სასწავლო კოშკის მეოთხე სართულზე ასვლაში სამივე საპრიზო ადგილი ფოთის გუნდის წარმომადგენლებმა ტ. კიზირიამ (15,8), გივი (16,0) და გალაქტიონ (16,5) ბუკიებმა დაიკავეს.

სამმაგი გასაშლელი კიბით სასწავლო კოშკის მესამე სართულზე ასვლას ყველაზე ცოტა დრო — 16,8 წამი მოანდომეს თბილისელმა სპორტის ოსტატებმა ა. ჭაბუკიანმა და ჯ. ოდიშარიამ. II ადგილი სპორტის ოსტატების ა. ვლასოვისა და მ. ოსმანოვის (რუსთავი) წყვილს ხვდა. ჩემპიონებს ისინი 0,2 წამით ჩამორჩნენ. III ადგილზე არიან აჭარის წარმომადგენლები — სპორტის ოსტატი მ. დუმბაძე და მ. მხეიძე.

საიერიშო კიბით მეოთხე სართულზე ასვლაში სპორტის ოსტატის ნორმატივი პირველად შეასრულა ა. მურადიანმა (აჭარა), ხოლო სპორტის ოსტატობის კანდიდატისა — ა. კვანტალიანმა და ო. ვაშაყმაძემ (ორივე — ქუთაისი).

საერთო გუნდური I ადგილი წილად ხვდა ფოთის ნაკრებს. II ადგილი მოიპოვეს აჭარის მეხანძრეებმა, III — თბილისელებმა.

შეჯიბრება კარგად ორგანიზებული იყო, მსაჯობა — ჩინებული (მთავარი მსაჯი — რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი ა. მამულაშვილი).

შეიქმნა საქართველოს ნაკრები, რომელიც აგვისტოში ბათუმში იასპარეზებს საკავშირო პირველობაში.

რ. გაბრიჭიძე.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •

სურათზე: კიბით მესამე სართულზე ასვლის მომენტი.

ავტორის ფოტო.

# ოლიმპიური მატიანე

## სკანდალური ოლიმპიადა




ლონდონის ოლიმპიადის შემდგომი პერიოდი მთელ რიგ ქვეყნებში მწვავე პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისით აღინიშნა. გართულდა ურთიერთობა შთავრობათა ლიდერებს შორის, რომლებიც კრიტიკული მდგომარეობიდან გამოსავალს ახალ ტოტალურ ომებში ხედავდნენ. ჯარისკაცის მაზარაში გახვეული ევროპა ყოველ წამს მზად იყო ფეხით გაეთელა მამების სისხლით მოპოვებული სიმშვიდე და მყუდროება. მასობრივი განადგურების ფსიქოზით შეპყრობილი ბურჟუაზიული იდეოლოგები სულ ახალ-ახალ საშუალებებს პოულობდნენ მოვლენათა მსვლელობის დასაჩქარებლად. ალბათ ამიტომაც, ომის საყოველთაო ისტერიის ატმოსფეროში განსაკუთრებით კეთილშობილური გამოჩნდა ოლიმპიური იდეა და პროგრესულმა კაცობრიობამ მთელი გულისყური გადაიტანა V ოლიმპიურ თამაშებზე, რომელიც 1912 წლის 6 ივლისს დაიწყო სტოკჰოლმში და ზუსტად 10 დღის შემდეგ დამთავრდა.

სტოკჰოლმის ოლიმპიადის სახელთან დაკავშირებულია ერთი კარგი წამოწყება, რომელმაც შემდგომში ტრადიციის სახე მიიღო. შვეციის დედაქალაქში, ძველბერძნული ოლიმპიადების მსგავსად, პირველად ჩატარდა ეგრეთ წოდებული ხელოვნების კონკურსი. სპორტულ თემატიკას მიუძღვნეს თავიანთი ქმნილებები არქიტექტორებმა, ფერწერის ოსტატებმა, მოქანდაკეებმა, მუსიკოსებმა, ლიტერატორებმა... მაგრამ კონკურსს რატომღაც არ ჰქონდა დიდი რეზონანსი: მან შეუმჩნევლად ჩაიარა.

სამაგიეროდ, ოლიმპიადამ სხვა მხრივ გაითქვა სახელი. უაღრესად სუსტი და არაობიექტური მსაჯობის გამო იგი ისტორიაში შევიდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური ოლიმპიადა. ზეპირი და წერილობითი პროტესტების ტალღას ზღვარი არ ჰქონდა. მსაჯობით უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მედლების მისაღებად გამზადებული ფავორიტებიცა და რიგითი სპორტსმენებიც, ვისთვისაც ოლიმპიადაში მონაწილეობა პატივისა და ღირსების საქმე იყო. ავსტრალიელი მძლეოსნები და ინგლისელი მოცურავეები, გერმანელი მოჭიდავეები და უნგრელი მოფარიკავეები, ფინელი მსროლელები და თანამედროვე ხუთჭიდის ფრანგი ოსტატები, იტალიელი ტანმოვარჯიშეები და ამერიკელი ნიჩბოსნები ვერ ფარავდნენ აღშფოთებას იმ უწესრიგობათა გამო, რომლებმაც ფაქტიურად ჩაშლის პირამდე მიიყვანა ოლიმპიადა.

თამაშების დახურვისას პროტესტთა ზღვამ მთლიანად შთანთქა საორგანიზაციო კომიტეტის საქმიანობა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ სოკ-მა თავის ერთ-ერთ წევრს ვინინგენს წინადადებით მიმართა შეეკრიბა, დაემუშავებინა და დაესტამბა ყველა პროტესტი და წინადადება, რათა მომდევნო ოლიმპიადების ორგანიზატორებს მხედველობაში მიეღოთ და გაეთვალისწინებინათ ისინი. ამ უნიკალურ შრომას ავტორმა ლმობიერად უწოდა: „შენიშვნები და წინადადებები ოლიმპიური თამაშების გაუმჯობესების შესახებ".

უსიამოვნო შთაბეჭდილებების გაქარწყლების მიზნით შვედებმა თამაშების საზეიმო დახურვის შემდეგ ზედ



სტადიონზე გრანდიოზული ბანკეტი მოაწყვეს. მოწვეულთა შორის არ იყვნენ მხოლოდ მსაჯები — ეს იყო გონივრული ნაბიჯი, ვინაიდან ისედაც გახელებულ უცხოელებს ზედმეტი გაღიზიანება არ სჭირდებოდათ. ორგანიზატორთა ჩანაფიქრით, ზღაპრულ ნადიმს ერთგვარი მორალური საფუძველი უნდა შეექმნა გამარჯვებისთვის, რასაც მასპინძლებმა არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში მიაღწიეს. მაგრამ ამ ღონისძიებას სასურველი ეფექტი არ მოჰყოლია: ნადიმი ნადიმად დარჩა — მან ოდნავაც ვერ გაანელა ჩამოსულთა გულისწყრომა.

რაც შეეხება ოლიმპიადის შემოქმედებითს მნიშვნელობას, მის სპორტულ მხარეს, იგი უდავოდ მაღალ შეფასებას იმსახურებს. ყველაზე მეტად თავი ამჯერადაც მძლეოსნებმა გამოიჩინეს — სტოკჰოლმში გაუმჯობესდა 19 ოლიმპიური რეკორდი (მათ შორის, 8 მსოფლიო რეკორდი). 7 შესწორება შეიტანეს რეკორდების ცხრილში მოცურავეებმაც (3 მსოფლიო მიღწევა).

იყო, რა თქმა უნდა, კურიოზებიც. გაზეთები მათზე ბევრს და დაწვრილებით წერდნენ. აი, ერთი ასეთი ამბავი, რომელიც მოჭიდავეთა ტურნირში მოხდა. ქვესაშუალო წონის ათლეტები — ლატვიელი მ. კლეინი და ფინელი ა. ასიკაინენი ათ საათს ეჭიდავებოდნენ ერთმანეთს. ამ ხნის განმავლობაში მაყურებლებმა შინ წასვლაც მოასწრეს, დასვენებაცა და ტანსაცმლის გამოცვლაც. მეტოქეები კვლავ ლოხეძიძღილი დალასლასებდნენ სარბიელზე. მეათე საათის მიწურულს ლატვიელმა გასტეხა მეტოქის ხებისყოფა და რის კაივაგლახით გაიმარჯვა. მაგრამ კლეინიც იმდენად დაღლილი იყო, რომ მეორე დღეს ოთახიდან გამოსვლა ვერ მოახერხა — ოლიმპიურმა ჩემპიონმა 48 საათს იძინა.

სტოკჰოლმელ გულშემატკივრებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამერიკელი ინდიელის ჯიმ ტორპის წარმატებამ ხუთჭიდსა და ათჭიდში. განსაკუთრებით ეფექტური იყო გამარჯვება ათჭიდელთა ტურნირში. 9 სახეობის შემდეგ ტორპს იმდენი ქულა ჰქონდა, რამდენიც მეორე პრიზიორს, შვედ ხ. ვისლანდერს 10 სახეობის ჯამში. ასეთი რამ მძლეოსნობის ისტორიაში არასდროს მომხდარა და ტორპიც ყველა დროის საუკეთესო მძლეოსნად აღიარეს.

მაგრამ ფერადკანიანი სპორტსმენის გამარჯვებამ მხოლოდ გააღიზიანა ამერიკელი რასისტები. შეერთებული შტატების მძლეოსანთა გუნდის ხელმძღვანელებმა ტორპს შარი მოსდეს მოყვარულთა სტატუსის დარღვევაში (ერთ დროს იგი თურმე ბეისბოლს თამაშობდა) და საორგანიზაციო კომიტეტის წინაშე აღძრეს შუამდგომლობა, რათა მისთვის ოქროს მედლები ჩამოერთმიათ. ამ პრეცედენტის გარჩევა შვედებმა ოლიმპიურ კომიტეტს მიანდვეს. 1913 წლის 23 მაისს ლოზანაში სოკ-ის სამდივნომ განიხილა ამერიკელ რასისტთა საჩივარი და, რა თქმა უნდა, დააკმაყოფილა იგი. ოლიმპიადის საზეიმო დახურვიდან 10 თვის შემდეგ ხუთჭიდში ჩემპიონად ნორვეგიელი ფ. ბი გამოცხადდა, ათჭიდში კი ხ. ვისლანდერი. მაგრამ არც ნორვეგიელმა და არც შვედმა არ ისურვეს უღირსი ჯილდოს მიღება. როცა სოკ-ის უგუნურმა გადაწყვეტილებამ ვისლანდერის ყურამდე მიაღწია, მან ოფიციალურად განაცხადა: „ოლიმპიადა ტორპმა მოიგო და მედლებიც მარტო მას ეკუთვნის".

* * *



სურათებზე: V ოლიმპიური თამაშების ერთ-ერთი პლაკატი; ჯიმ ტორპი ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვების 46 წლის შემდეგ თავის ფერმაში; მ. კლეინისა და ა. ასიკაინენის სარეკორდო ჭიდილი.

## თამბაქო ოლიმპიადის საქმეებში ერევა

როგორც ცნობილია, წლის დამდეგს ბრიტანეთის ოლიმპიურმა ასოციაციამ მოსახლეობას მოწოდებით მიმართა შეეგროვებინათ 200 ათასი გირვანქა სტერლინგი სპორტისა და ერის საჭიროებისთვის. ამ მოწოდებას პირველი გამოეხმაურა თამბაქოს ფირმა „როტმანსი", რომელმაც ბრიტანეთის ოლიმპიურ ასოციაციას 25 ათასი გირვანქა სტერლინგი შესწირა.

ფირმამ თავის „დიდსულოვნებას" კომერციული სარჩული დაუდო. სიგარეტების ყოველი გაყიდული კოლოფიდან იგი 1 პენსსურიცხავს ასოციაციას. ყოველ კოლოფში ჩადებულია შესაბამისი კუპონი, რომელსაც თამბაქოს მწეველი უშვებს სპეციალურ ყუთებში.

მეთამბაქოეთა თაოსნობამ საპირისპირო რეაქცია გამოიწვია. ამ ინიციატივით განსაკუთრებით აღშფოთებულია ბრიტანეთის მთავრობა, რომელიც ცდილობს თამბაქოს წევის შეზღუდვის კამპანია ჩაატაროს.

ბრიტანეთის სპორტული საბჭოს თავმჯდომარემ, დოქტორმა რ. ბანისტერმა (იგი წარსულში პოპულარული მძლეოსანი იყო) ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „როგორც სპორტული საბჭოს თავმჯდომარე, მივესალმები იმათ, ვინც ცდილობს მხარი დაუჭიროს ასოციაციის მიმართვას, მაგრამ, როგორც ექიმს, არა მაქვს უფლება არ გავაფრთხილო ბრიტანელები — თამბაქოს ზიანის მეტი არაფერი მოაქვს".

რაც შეეხება ასოციაციის გენერალურ მდივანს ს. დანკენს, იგი აღფრთოვანებულია მეთამბაქოეთა გულუხვობით და სულ ამას იმეორებს: „ვინაიდან მსოფლიოში ბევრი გამოუსწორებელი მწეველია, რატომ უნდა ვთქვათ უარი მათგან დახმარების მიღებაზე?"

# უცხოეთის ფეხბურთის ფურცელი

### 9 ქალაქი დაასახელეს

არგენტინის 1978 წლის ჩემპიონატის არგენტინელმა ორგანიზატორებმა დაადგინეს პირველობის მატჩები ჩატარდეს ბუენოს-აირესში, ლა პლატაში, როზარიოში, კორდობაში, მენდოზაში, მარ-დელ-პლატაში, ტუკუმანში, სალტასა და კორიენტესში.

სპეციალური კომისია შეამოწმებს ამ ქალაქებში სტადიონების მდგომარეობას და სათანადო მოხსენებას წარუდგენს არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას. იგი თავის მხრივ სათანადო ბარათს მიაწვდის ფიფა-ს.

● ●

### დიდი საფეხბურთო ექსპორტი

საოცარი საფეხბურთო ექსპორტი აქვს ახლა დანიას. ამ პატარა ქვეყნიდან უცხოეთში თამაშობს 70 (!) ფეხბურთელი, უმეტესად — ბელგიის, შოტლანდიის, ავსტრიის, გფრ-ისა და შვეციის კლუბებში.

თვით დანიაში, როგორც ცნობილია, პროფესიული ფეხბურთი არ არსებობს.

● ●

### ოთხთა ტურნირი მადრიდში

22–24 აგვისტოს გაიმართება ტრადიციული საერთაშორისო ტურნირი, რომელსაც „ვილა მადრიდი" ეწოდება. მისი შემადგენლობა მეტად ძლიერია. ბრძოლაში ჩაებმებიან ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მფლობელი „აიაქსი" (ამსტერდამი), „ბოკა ხუნიორსი" (ბუენოს-აირესი), „ატლეტიკო" (მადრიდი) და „დინამო" (მოსკოვი).

● ●

### რ. ჩარლტონს მწვრთნელად იწვევენ

მადრიდის „ატლეტიკომ", რომლის დირექტორატი უკმაყოფილოა გუნდის შედეგებით, გადაწყვიტა მწვრთნელად მიიწვიოს გამოჩენილი ინგლისელი ფეხბურთელი რ. ჩარლტონი. ამ უკანასკნელმა ოფიციალური ბარათიც მიიღო, მაგრამ ყოყმანობს, არ იცის, ესპანეთში გაემგზავროს, თუ გააგრძელოს ფეხბურთელის კარიერა „მანჩესტერ იუნაიტედში".

● ●

### მხოლოდ თითო უცხოელი

ამიერიდან ბრაზილიის პროფესიულ კლუბებს კალენდარულ მატჩებში შეუძლიათ მხოლოდ თითო უცხოელის გამოყვანა და ეკრძალებათ ახალი კონტრაქტების დადება, მაგრამ უწინდელი ხელშეკრულებანი არ უქმდება და გამონაკლისის სახით შეიძლება „ძველი" უცხოელების თამაში.

● ●

### „ალპების თასი" — „ნიმს"

„ალპების თასის" ტრადიციულ გათამაშებაში საფრანგეთისა და შვეიცარიის 4-4 ცნობილი კლუბი მონაწილეობდა. დიდი წარმატებით ითამაშეს საფრანგეთის „ოლიმპიკმა" (ნიმი) და „ჟირონდამ" (ბორდო). მათ შორის გაიმართა ფინალური მატჩი, რომელმაც დამაჯერებელი გამარჯვება მოუტანა ნიმელებს — 7:2.

### ქალთა ლიგის აღიარება

ფინეთის ფეხბურთის ფედერაციამ თავის ქვეყანაში ოფიციალურად აღიარა ქალთა ლიგა. იგი ახლა 85 გუნდს აერთიანებს.

ფინეთის ქალთა ჩემპიონატი, რომელიც შარშან არაოფიციალურად ჩატარდა და ჰიკ-ის (ჰელსინკი) გამარჯვებით დასრულდა, ამიერიდან ყოველწლიურად გაიმართება ფინეთის ფეხბურთის ფედერაციის ოფიციალური სანქციით.

● ●

### ამიერიდან — 14

შვეციის ფეხბურთის ფედერაციამ გამოაცხადა, რომ ამიერიდან ამ ქვეყნის პირველ ლიგაში 14 გუნდი ითამაშებს. ამასთან დაკავშირებით, I ლიგა დატოვა მხოლოდ ერთმა კოლექტივმა, მასში კი სამი გუნდი გადავიდა.

### მოკლედ

● **ვენა.** ავსტრიის ფეხბურთის ფედერაციამ განაცხადა, რომ თავის გუნდებში არ დაუშვებს არც ერთ მოთამაშეს, რომელსაც დისკვალიფიკაცია მისცეს გფრ-ში. ანალოგიური განცხადება გააკეთა შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციამაც.

● **ტუნისი.** ფეხბურთის ფედერაციამ სამუდამოდ აუკრძალა თამაში „ოლიმპიკის" ორ ფეხბურთელს, რომლებმაც ქრთამი აიღეს და ხელი შეუწყვეს საკუთარი კლუბის წაგებას.

● **ლიდსი.** საოცარი სპორტული სიჯარმაგით გამოირჩევა გამოჩენილი ინგლისელი მცველი ჯ. ჩარლტონი, რომელიც უკვე მრავალი წელია გამოდის „ლიდს იუნაიტედში". მან თავის გუნდში 600-ზე მეტი კალენდარული მატჩი ჩაატარა.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.




გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: თბილისი 8, ლენინის ქ. № 14 (ინდექსი 380008). დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორი — 99 56 14, რედაქტორის მოადგილე — 93 97 51, პასუხისმგებელი მდივანი — 93 97 52, მასობრივ ფიზკულტურული და მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 93 97 55, სპორტული განყოფილება — 99 56 47, 93 97 53, ფეხბურთის განყოფილება — 99 81 71, 93 97 56, ქადრაკის განყოფილება — 93 97 57, წერილების განყოფილება — 93 97 54, მემანქანეთა ბიურო — 93 97 59, ფოტოლაბორატორია — 93 97 58, გამომშვები — 93 93 81, კორექტორები — 93 97 49.